აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

30 მარტი 2006 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი, გია გარსევანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, უსურვა ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობა, გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი;

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა

მოისმინეს:	სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე, არჩილ მიქელაძე. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისიის მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის ორ წევრს, და კომისიას მდივნად წარუდგინა ქ-ნ ქეთევან ჯიქიას კანდიდატურა. მას საარჩევნო კომისიის მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, არის თავისი საქმის მცოდნე, არჩევნების მთელი პერიოდის განმავლობაში რიგი საკითხების გადაწყვეტა კომისიის მდივნის პრეროგატივაა და დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი ქეთევანი წარმატებულად გაუძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, კომისიის მდივნად ქეთევან ჯიქიას არჩევის შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 6; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი;
დაადგინეს:	კომისიის მდივნად არჩეულ იქნას კომისიის წევრი ქეთევან ჯიქია.

მიღებულია განკარგულება:

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არჩეული იქნას ქეთევან ჯიქია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

მოისმინეს:	სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დებულებაში არის საკითხები, რაც ითხოვს დახვეწას, აპარატის ზოგიერთ თანამდებობაზე შეიძლება დაემატოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც დამატებით მიიღებს კომისია.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით, შესაძლებელია მოწვეულნი იქნენ არასამთავრობო ორგანიზაციათა და პრესის წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ შარმანაშვილმა გამოთქვა აზრი, წარმოდგენილი პროექტიდან ამოღებულ იქნას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.
დაადგინეს:	დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გარეშე.

მიღებულია დადგენილება:

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საკონკურსო-სააატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის №174 ბრძანებულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულება".

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

3. ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების შესახებ.

მოისმინეს:	სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიამ უნდა დაიწყოს აქტიური მუშაობა ოლქებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ზოგიერთი ოლქის შენობა-ნაგებობებით და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი. მივმართოთ თხოვნით რაიონის გამგებლებს, რათა ოლქებისათვის მოიძებნოს და გამოიყოს

შესაბამისი ფართი და გადაეცეთ სარგებლობის უფლებით.

ოლქების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ და დასძინა, რომ კომისიამ აქტიურად უნდა იმუშაოს და წარმოადგინოს კანონპროექტის ვარიანტები ოლქების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა ასლან ჩავლეიშვილმა, გუგული დუაძემ.

დაადგინეს: დაევალოს კომისიის აპარატს:

მოამზადოს წერილები რაიონების გამგებლებლების სახელზე ოლქების შენობა-ნაგებობებით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ფართის გამოყოფის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია